კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდის (www.gnfc.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 24 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

www.gnfc.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50,00%
54,40%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
12,50%
90,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
26,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
53,57%
30,03%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
20,00%
27,88%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
29,33%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
18,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20,00%
18,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
12,50%
19,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის დირექტორის კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. სასურველია, რომ არსებობდეს ცალკე (ქვე)-განყოფილება, სადაც განთავსებული იქნებოდა ინფორმაცია დირექტორისა და ზოგადად ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილეთა კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორის მოადგილეებს. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. ცენტრის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული დანაყოფის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). სასურველია ქვე-განყოფილებაში „კინოცენტრის თანამშრომლები“ არ იყოს აღნიშვნა თარიღის სახით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დირექტორისა და უმეტესობა ცენტრის თანამშრომლების ფოტოსურათები ფაქტობრივად არ იძლევა სურათზე გამოსახული პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, რომ ცენტრს ჰყავს სამი სტრუქტურული ერთეული კერძოდ: სახელმწიფო სუბსიდირების დეპარტამენტი, დისტრიბუციისა და კინოექსპორტის დეპარტამენტი და კინოკომისიის დეპარტამენტი, თუმცა ვებ-გვერდზე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ მოიძიება. ქვე-განყოფილებაში სტრუქტურა განთავსებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცენტრი თავის საქმიანობას ოთხი შიდა-სტრუქტურული მიმართულების მეშვეობით ახორციელებს. მართალია, ცენტრის ვებ-გვერდზე არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“, თუმცა მასში არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ხე და ყველა მოქმედი სტრუქტურული ერთეულის ჩამონათვალი;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტები კერძოდ: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:
- სასურველი იქნებოდა, რომ სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები იყოს განცალკევებულად გამოყოფილი:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უშუალოდ ეხება ცენტრის საქმიანობის სფეროს, თუმცა მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: ხელშეკრულებათა ბაზა, სტატისტიკური მაჩვენებლები, ტენდერებისა და ვაკანსიათა არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვე-განყოფილება „ტრენინგები“ ცარიელია, ხოლო ქვეგანყოფილებაში „პროექტის განვითარება“ ვკითხულობთ, რომ „მიმდინარეობს მუშაობა“. ამასთან, ქვე-განყოფილება „სალარო შემოსავლები“ აგრეთვე „შემუშავების პროცესშია“:





- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

7. ვებ გვერდზე არ მოიძიება დირექტორისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების და ბრიფინგების ტექსტები.

8. არ მოიძიება ცენტრის მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. მართალია ვებ-გვერდზე ზოგადად არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები, თუმცა საჭიროა განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიში“, სადაც წლების მიხედვით განთავსებული იქნება ეროვნული კინოცენტრის მიერ საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე არ მოიძება სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ეროვნული კინოცენტრი.

10. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

11. აღსანიშნავია ისიც რომ ქვე-განყოფილებაში „სტრატეგიული გეგმა“ ვკითხულობთ: *საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სტრატეგიულ გეგმას იხილავთ უახლოეს მომავალში.*

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „კანონები და დებულებები“, თუმცა მასში განთავსებული უმეტესობა სამართლებრივი აქტებისა მოცემულია ძველი მდგომარეობით. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები და სამართლებრივი აქტების პროექტები:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. ინფორმაცია ეროვნული კინოცენტრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია ტენდერებისა და აუქციონების შესახებ. არ მოიძიება ეროვნული კინოცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი.

16. ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა

ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები (მოიძიება ინფორმაცია მხოლოდ ორი მემორანდუმის შესახებ განყოფილებაში - „ახალი ამბები“):

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

18. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ეროვნული კინოცენტრის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ეროვნული კინოცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ეროვნული კინოცენტრისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ეროვნული კინოცენტრისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
44,44%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
26,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
61,90%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის მთავარი მენიუ დაწერილია საკმაოდ პატარა ფონტით, შესაბამისად რთული აღსაქმელია მომხმარებლისთვის:



გარდა მცირე ზომის შრიფტისა, ვებ-გვერდის მენიუს აქვს სხვა პრობლემაც კერძოდ პატარა ეკრანზე, როგორიც აქვს მაგალითად Laptop-ს, ვებ-გვერდის მენიუ არ ჩანს სრულყოფლად, შესაბამისად Scroll-ის ჩამოწევის გარეშე შეუძლებელია ამ მენიუს ერთ-ერთ პუნქტში შესვლა:



- **ძიება**

ძიების ველში ან ველის გასწვრივ აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი წარწერა: „ძიება“



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდში ფონტის ზომა აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ 12 პიქსელი:

ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი ბმულები, რომლებიც არ არის ხაზგასმული, შესაბამისად მომხმარებელისთვის რთულია ჩვეულებრივი ტექსტისა და ბმულის გარჩევა. ქვემოთ მოყვანილ სურათზე მოცემულია დოკუმენტების ბმულები, თუმცა „მაუსის“ მიტანის გარეშე შეუძლებელია ამის გაგება.



ვებ-გვერდის კოდი (CSS) უნდა იყოს დაფორმატებული ისე, რომ, ყველა ბმულს ავტომატურად ქონდეს ხაზი გასმული.

გარდა ამისა ვხვდებით ისეთ გვერდებს, რომლებიც ცარიელია:

ასეთ გვერდებზე აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ გვერდი არის მზადების პროცესში. მომხმარებელს არ უნდა დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ვებ-გვერდზე არის ტექნიკური წუნი ან ინფორმაციული სიმწირე:

ვებ-გვერდზე ატვირთულია ვიდეო მასალა, თუმცა ყველა მათგანი გამართულად არ მუშაობს. მაგალითად კატეგორიაში: http://gnfc.ge/?action=films&film_id=91&pageon=47 ვიდეო არ ირთვება, ტესტირება მოხდა 3 კომპიუტერიდან.

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდზე დარღვეულია ელექტრონული ფოსტის ფორმატი (gov აღნიშვნა აუცილებელი უნდა იყოს საჯარო დაწესებულების ელექტრონული მისამართებისთვის):

ვებ-გვერდზე არსებული ელ-ფოსტა: **info@gnfc.ge**
სწორი ფორმატი: info@gnfc.gov.ge

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე არსებობს „აზრის გამოხატვის“ მოდული, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია გაუგზავნოს შეტყობინება ვებ-გვერდის ადმინისტრაციას, თუმცა ეს მოდული არ მუშაობს და გაუმართავია. შეტყობინების გაგზავნისთანავე ვებ-გვერდზე იწერება, რომ ასეთი გვერდი ვერ მოიძებნა:

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაზე გადართვის შემდეგ, ზოგიერთ გვერდზე მაინც რჩება ქართული მენიუ:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

სოციალურ ქსელ Facebook-ში არსებობს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის გვერდი, თუმცა მასთან მჭიდრო ინტეგრაცია ოფიციალურ ვებ-გვერდს არ აქვს. ვებ-გვერდზე არის მხოლოდ Facebook-ის გვერდზე გადასასვლელი ბანერი, გარდა ამ ბანერისა ვებ-გვერდზე შესაძლებელია იყოს კინოების ან სხვა ინფორმაციის გაზიარების ფუნქცია, Facebook-ის LIKE-ის მოდულის ინტეგრაცია, კომენტარების გაკეთების მოდულის ინტეგრაცია და სხვა.

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის პროგრამულ კოდში დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომა. შეცდომის შესახებ მოცემულ ანალიზში არ დავწერთ, მაგრამ თუ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი გამოთქვამს სურვილს, ჩვენ სრულად მივაწვდით მათი ვებ-გვერდის შეცდომების ნუსხას:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-გვერდი საკმაოდ უხარისხოა, დაშვებულია უამრავი ტექნიკური შეცდომა. ასევე აღმოჩენილია ისეთი ტექნიკური წუნი, რომლებიც ძალიან სახიფათოა და ძალიან მარტივია ამ შეცდომების ბოროტად გამოყენება. ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული ისეთი დეტალები, როგორიც არის ინფორმაციის მარტივად აღქმა (ეს აშკარად ჩანს ვებ-გვერდის მთავარ მენიუზე დაკვირვებისას, მენიუს ასოები არის ძალიან პატარა ზომის), სხვა და სხვა ინფორმაციის გაფილტვრა (ფილტრაცია ეხმარება ვებ-გვერდს სტრუქტურის დაცვაში და მოულოდნელია შეცდომების აღმოფხვრაში), მოდულების გამართულად მუშაობა (ვებ-გვერდზე არსებობს მოდულები რომლებიც არ მუშაობენ, მაგალითად ბლოკი სახელად: „გამოგვიგზავნეთ იდეები“).

ვებ-გვერდზე არსებობს ვიდეო რგოლები თავისი მუსიკალური გაფორმებით, რომელთა გამორთვა ან შეჩერებაც შეუძლებელია. მულტიმედიას აუცილებლად უნდა ქონდეთ გამორთვის ან შეჩერების მარტივი ღილაკები. თუ ესეც არ აქვს ანიმაციას, მაშინ აუცილებლად უნდა ქონდეს ხმის გამორთვის ფუნქცია.